



# მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში

პოლიტიკის დოკუმენტი

თორნიკე ზურაბაშვილი

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)  
იანვარი, 2016 | თბილისი

# მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში

## პოლიტიკის დოკუმენტი

„საქართველოს რეფორმების ასოციაცია – GRASS“ არის მრავალპროფილური ანალიტიკური ცენტრი, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს საქართველოს საგარეო, უსაფრთხოების, საჯარო პოლიტიკის, საჯარო ადმინისტრირების სფეროს კვლევასა და მის სიღრმისეულ ანალიზს.

მიცკევიჩის ქუჩა 27, თბილისი, საქართველო, 0194,  
ტელ: +995322222913  
[www.grass.org.ge](http://www.grass.org.ge)  
[grass@grassgroup.org](mailto:grass@grassgroup.org)

## სარჩევი

შესავალი .....	4
კვლევის მეთოდოლოგია .....	5
ვითარების მიმოხილვა.....	6
ქართულ ენაზე სწავლება გალის სკოლებში .....	6
გამყოფ ხაზზე მიმოსვლა .....	14
ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა .....	15
საკანონმდებლო ჩარჩო .....	17
ინსტიტუციური ჩარჩო.....	18
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.....	18
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო (დევენლოპაში).....	23
საქართველო საგარეო საქმეთა სამინისტრო და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.....	25
საქართველოს პარლამენტი .....	27
საქართველოს სახალხო დამცველი .....	27
რეკომენდაციები.....	28

## შესავალი

2015 წლის სექტემბრიდან, აფხაზურმა ადმინისტრაციამ გალის რაიონის ე. წ. ქვედა ზონის 11-ვე ქართულენოვანი სკოლის დაწყებით კლასებში სწავლება (1-დან 4-ს ჩათვლით) რუსულ ენაზე გადაიყვანა და ქართული ენისთვის დათმობილი საკვირაო საათები კიდევ უფრო შეამცირა. ამავ გეგმით, ყოველი მომდევნო კლასი რუსულ ენაზე გააგრძელებს სწავლას და თუ ვითარება არ შეიცვალა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო ქართულენოვანი გამოშვება 2022 წელს დაამთავრებს სწავლას.

ცალსახაა, რომ აფხაზური ადმინისტრაციის განათლების პოლიტიკა გალის რაიონის ტერიტორიაზე ქართული ენის განდევნას და მის რუსულით სრულ ჩანაცვლებას ემსახურება. აფხაზური და რუსული მხარეები იმედოვნებენ, რომ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შეზღუდვით, ადგილობრივი ქართველების დანარჩენ საქართველოსთან კულტურულ და პოლიტიკურ კავშირებს შეასუსტებენ და ამით, გალის რაიონში პოზიციებს გაიმყარებენ.

ქართული ენის, როგორც გალის მოსახლეობის მშობლიური ენის და ეთნიკური ქართველების იდენტობის უმნიშვნელოვანესი ელემენტის შეზღუდვა, თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია. არანაკლებ საგანგაშოა ისიც, რომ სწავლების რუსულ ენაზე დაუგეგმავად და იძულებით გადაყვანა, უარყოფითად აისახება გალის რაიონში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხზე. იქაურ მასწავლებელთა და მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის, რუსული ენა უცხოა და მასზე სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვა პრაქტიკულად შეუძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ ძალუძს საგანმანათლებლო პოლიტიკა ადგილზე და სრულფასოვნად განახორციელოს, მისი პირდაპირი ვალდებულებაა წინ აღუდგეს გადაწყვეტილების აღსრულებას და შეამსუბუქოს ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც სწავლების რუსულ ენაზე დაუგეგმავად და იძულებით გადაყვანას მოყვება. საქართველოს ხელისუფლების საპასუხო ნაბიჯები კომპლექსურობას მოითხოვს; ერთი მხრივ, გამოყენებული უნდა იქნას პრობლემის გადაწყვეტის ყველა შესაძლო საერთაშორისო პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმი, ხოლო მეორე მხრივ უნდა მოიძებნოს პრაქტიკული გადაწყვეტილებები, რომლითაც ადგილობრივი ქართველები ხარისხიანი განათლების მშობლიურ ენაზე მიღებას ადგილზე გააგრძელებენ. ამ საქმეში კი, უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ისე, დაინტერესებული საზოგადოების და სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობა.

აღნიშნული დოკუმენტი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მისი ამოცანაა ერთი მხრივ, ნათელი მოჰყვინოს არსებული პრობლემის სიმწვავეს, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს სახელმწიფოს შესაბამის სამსახურებს გამოსავლის ძიების პროცესში. პოლიტიკის დოკუმენტი დაწვრილებით მიმოიხილავს სახელმწიფოს პოლიტიკას გალის რაიონის ტერიტორიაზე არსებული სასწავლო დაწესებულებების მიმართ. ის ასევე საუბრობს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების პროგრამების შესახებაც და მათთვის ამ ღონისძიებების დახვეწის მიზნით, რეკომენდაციებს წარმოადგენს.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესი 2015 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელდა. კვლევის მასალა სამაგიდე კვლევისა და პირისპირ ინტერვიუების მეშვეობით შეგროვდა. საწყის ეტაპზე, მოხდა საკვლევ თემაზე არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშების, კანონმდებლობის, ბიუჯეტის და მოქმედი პროგრამების მოძიება და ანალიზი. გამოთხოვილ იქნა ოფიციალური სტატისტიკაც. კვლევის შემდეგ ეტაპზე, ჩატარდა 16 ნახევრად-სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ იმ უწყებებთან და პირებთან, ვისაც პირდაპირ ან ირიბად ეხება აღნიშნული საკითხი. პირისპირ ინტერვიუები გაიმართა შემდეგ პირებთან:

რესპონდენტი	თანამდებობა/სტატუსი
ლია გიგაური	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
ქეთევან ციხელაშვილი	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;
მარინა სალუქვაძე	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ა/რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის საკითხთა სამმართველოს უფროსი;
ელენე აგლაძე	საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
შოთა მალაშხია	საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე;
მამუკა არეშიძე	დამოუკიდებელი ექსპერტი;
გიორგი სვანაძე	სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შიდა უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დეპარტამენტის დირექტორი;
მედეა ტურაშვილი	საქართველოს სახალხო დამცველის მთავარი მრჩეველი კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში;
მაია მიმინოშვილი	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
სოფიო ლობჯანიძე	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
ჯემალ გამახარია	აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
იგორ კოპალიანი	აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე;
დალი ხომერიკი	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის ყოფილი მინისტრი;
ნონა შონია	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს გალის რესურსცენტრის დირექტორი;
მალხაზ პატარია	მოდრაობა „დაბრუნებას“ თავმჯდომარე;
ალფრედ ნურია	ვოლდ ვიჟენის აფხაზეთის პროგრამის მენეჯერი.

ინფორმაციის მოძიების მიზნით, სატელეფონო და ელექტრონული კომუნიკაცია შედგა საქართველოს ეროვნულ უშიშროების საბჭოსთან, საქართველოს პრემიერმინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთან რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში და დანის ლტოლვილთა საბჭოს აფხაზეთის ოფისთან.

*დოკუმენტის ავტორი მადლობას უხდის ყველა რესპონდენტს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის, განსაკუთრებით კი გალის რესურსცენტრის დირექტორს, ქ-ნ ნონა შონიას.*

# ვითარების მიმოხილვა

## ქართულ ენაზე სწავლება გალის სკოლებში

1992-1993 წლების სამხედრო მოქმედებებამდე, გალის რაიონის ტერიტორიაზე 58 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებდა, სადაც 13180 მოსწავლეს 1638 მასწავლებელი ემსახურებოდა.<sup>1</sup> ომის შემდგომ სპონტანურად დაბრუნებულმა მოსახლეობამ, საკუთარი ინიციატივით, 31 სკოლაში მოახერხა სასწავლო პროცესის აღდგენა, სადაც დღეის მონაცემებით, 4428 მოსწავლე და 749 მასწავლებელი ირიცხება (ცხრილი #1).<sup>2</sup>

**ცხრილი #1: მოსწავლეთა, მასწავლებელთა და ტექნიკური პერსონალის რაოდენობა წლების მიხედვით**

	2005- 2006	2006- 2007	2007- 2008	2008- 2009	2009- 2010	2010- 2011	2011- 2012	2012- 2013	2013- 2014	2014- 2015	2015- 2016
მოსწავლე	4247	3898	3852	4212	4214	4213	4220	4380	4431	4446	4428
მასწავლებელი	612	627	657	736	742	756	735	742	747	749	749
ტექპერსონალი	130	129	137	149	149	155	161	158	154	162	164

წყარო: გალის რესურსცენტრი

აღდგენილი სკოლებიდან, ომამდე მხოლოდ 2 იყო რუსული, 1 ქართულ-რუსული და 1 ქართულ-აფხაზური. ამჟამად კი, გალის რაიონის 20 სკოლა მთლიანად რუსულ სწავლებაზეა გადასული, დანარჩენ 11 სკოლაში კი, ქართული ენის რუსულით ჩანაცვლება თანდათანობით მოხდება (იხილეთ ცხრილი #2).

გალის რაიონის სკოლებში, ქართულ ენაზე სწავლების შეზღუდვა 1995 წელს დაიწყო და ეტაპობრივად განხორციელდა. რაიონის ნამდვილ (ომამდელ) საზღვრებში<sup>3</sup> <sup>4</sup> შემავალი სოფლების 11 სკოლაში ერთდროულად აკრძალეს ქართულ ენაზე სწავლება, ხოლო გალის რაიონის ე. წ. ზედა ზონის 9 სკოლაში, „პირველი კლასის პრინციპი“ (ყოველი პირველი კლასის მიერ რუსულ ენაზე დაწყება) შემოიღეს.<sup>5</sup> ამ უკანასკნელში, რუსულ სწავლებაზე გადასვლის პროცესი 2004-2005 წლებში დასრულდა.<sup>6</sup>

<sup>1</sup> ინფორმაცია მოწოდებულია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ.

<sup>2</sup> იგივე.

<sup>3</sup> პოლიტიკის დოკუმენტში „გალის რაიონი“ გულისხმობს გალის რაიონის ნამდვილ (ომამდელ) საზღვრებს. 1994 წელს აფხაზეთმა გალის რაიონის რამდენიმე სოფელი ოჩამჩირისა და ახლად შექმნილ ტყვარჩელის რაიონებს მიუერთეს. რაიონის დანარჩენი ტერიტორია კი, ე. წ. „ზედა“ და „ქვედა“ ზონებად დაყვეს. იხ. რუკები.

<sup>4</sup> Human Rights Watch, „Living in Limbo; The Rights of Ethnic Georgian Returnees to the Gali District of Abkhazia“, 2011.

<sup>5</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი სიახლეები, თბილისი, 2015.

<sup>6</sup> იგივე.

სურვილის მიუხედავად,<sup>7 8 9 10 11</sup> აფხაზები გალის რაიონის ე. წ. ქვედა ზონის სკოლებში სწავლების პროცესის რუსულ ენაზე გადაყვანას აქამდე ვერ ახერხებდნენ, რაშიც მათ რესურსების უკმარისობა<sup>12</sup> და უსაფრთხოების მყიფე პირობები უშლიდა ხელს. ეს სკოლები გალის აფხაზური ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში მხოლოდ 2006 წელს გადავიდნენ<sup>13</sup> და მას შემდეგ არაოფიციალურად ორმაგი იურისდიქციის ქვეშ მოქმედებდნენ - ერთი მხრივ, გალის აფხაზური ადმინისტრაციის განათლების სამსახურს ემორჩილებიან, ხოლო მეორე მხრივ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს (დევენილობაში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზურ ადმინისტრაციას ქართულ ენაზე სწავლება ოფიციალურად არასდროს ჰქონია ნებადართული: ყველა ამ სკოლაში, სწავლების ენად რუსული მიიჩნეოდა.<sup>14</sup>

სირთულეების მიუხედავად, 2014 წლიდან, აფხაზებმა გეგმის სისრულეში მოყვანა დაიწყეს; დაწყებით კლასებში ჯერ 4-4 საათით შეამცირეს ქართული ენისა და ლიტერატურისთვის დათმობილი დრო, მომდევნო წელს კი, სრულად გადაიყვანეს რუსულ სწავლებაზე. ამავე გეგმით, ყოველი მომდევნო კლასი რუსულ ენაზე გააგრძელებს სწავლას და თუ ვითარება არ შეიცვალა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართულენოვანი სკოლების არსებობის თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია 2022 წელს დასრულდება.<sup>15</sup>

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შელახვასთან ერთად, სწავლების რუსულ ენაზე გადასვლა უარყოფითად აისახება სასკოლო განათლების ხარისხზეც,<sup>16 17 18</sup> რასაც თავის მხრივ, არასახარბიელო შედეგები მოჰყვება მოსწავლეების სამომავლო კარიერულ და აკადემიურ განვითარებაზე.

გაღელ მასწავლებელთა და მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის, რუსული ენა უცხოა და მასზე სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვა, პრაქტიკულად

---

<sup>7</sup> სოსო წირღვავა, საგანმანათლებლო პრობლემები და ქართული სკოლების მდგომარეობის შესახებ კონფლიქტის ზონაში (გალის რაიონი), ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოს კონფლიქტურ ზონებში, თბილისი, 2006.

<sup>8</sup> Kevanishvili, Eka. "Georgian Language Under Pressure In Abkhazia." RadioFreeEurope/RadioLiberty. N.p., 22 მარტი 2009. Web.

<sup>9</sup> "Беслан Кантария о положении в школах в Гальском районе." YouTube. YouTube, 10 ნოემბერი 2015. Web.

<sup>10</sup> ეკა გულუა, „გალის რაიონის ქართულ სკოლებში ქართულად სწავლას კრძალავენ.“ ადამიანის უფლებათა ცენტრი. 3 მაისი 2006.

<sup>11</sup> GEORGIA: IDPs in Georgia still need attention Internal Displacement Monitoring Centre, Norwegian Refugee Council, 9 ივლისი, 2009

<sup>12</sup> Human Rights Watch, "Living in Limbo; The Rights of Ethnic Georgian Returnees to the Gali District of Abkhazia", 2011.

<sup>13</sup> "Какова ситуация в Гальских школах сегодня." YouTube. YouTube, 10 დეკემბერი 2014. Web.

<sup>14</sup> Human Rights Watch, "Living in Limbo; The Rights of Ethnic Georgian Returnees to the Gali District of Abkhazia", 2011.

<sup>15</sup> აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველი სკოლა 1851 წელს, გალის რაიონის სოფელ ოქუშში გაიხსნა. სკოლაში სწავლა ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა.

<sup>16</sup> International Crisis Group, Abkhazia: The Long Road to Reconciliation, Europe Report N°224, 10 აპრილი 2013.

<sup>17</sup> განათლება გამყოფ ხაზთან: განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში გამყოფი ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი და ქსელი „სინერგია“, თბილისი, 2015.

<sup>18</sup> Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia (S/2001/59), UN Security Council, 18 იანვარი 2001

შეუძლებელი.<sup>19 20 21 22 23</sup> მოსწავლეები სახლში ქართულ და მეგრულ ენებზე საუბრობენ, სკოლაში კი დამატებით რუსულს, ინგლისურსა და აფხაზურს ეუფლებიან, და ისიც არასრულფასოვნად.

ამავდროულად, გალის რაიონის ბევრ სკოლაში (ორივე ზონაში) მივიღეთ ვითარება, როდესაც სწავლება ორი პროგრამით ხორციელდება, ოფიციალურად - რუსულ ენაზე და რუსული წიგნებით, ხოლო არაოფიციალურად - ქართულ ენაზე, საქართველოს განათლების სამინისტროს წიგნებით.<sup>24</sup> განათლების ორი არათავსებადი - რუსული და ქართული - სასწავლო პროგრამით პარალელური სწავლება კი, დამატებით გაურკვეველობას სძენს გალში უკვე არსებულ საკმაოდ არამდგრად საგანმანათლებლო პირობებს.

მასწავლებლების ნაწილი, სწავლების პროცესის ქართულ ენაზე წარმართვას მალულად მაინც ახერხებს,<sup>25</sup> თუმცა ეს, შემოწმების მუდმივი მოლოდინის ფონზე ხდება და უარყოფითად აისახება როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.<sup>26</sup>

### რუკა #1: გალის რაიონი აფხაზურ საზღვრებში



წყარო: WIKIPEDIA

<sup>19</sup> Адлейба, Стелла. "Проблемы Галского района: Документы, язык, транспорт." Все об отношениях Абхазии и России. N.p., 19 ოქტომბერი 2015. Web.

<sup>20</sup> Comai, Giorgio. "In Abkhazia, worried about the language law." Osservatorio Balcani E Caucaso. N.p., 16 ნოემბერი 2011. Web.

<sup>21</sup> განათლება გამყოფ ხაზთან: განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში გამყოფი ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი და ქსელი „სინერგია“, თბილისი, 2015.

<sup>22</sup> Human Rights Watch, "Living in Limbo; The Rights of Ethnic Georgian Returnees to the Gali District of Abkhazia", 2011.

<sup>23</sup> Report of the Representative of the Secretary-General on the human rights of internally displaced persons, Walter Kälin, Human Rights Council, Sixteenth Session, 23 დეკემბერი, 2010.


<sup>24</sup> Human Rights Watch, "Living in Limbo; The Rights of Ethnic Georgian Returnees to the Gali District of Abkhazia", 2011.

<sup>25</sup> იგივე.

<sup>26</sup> ინფორმაცია მოწოდებულია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ.



რუკა #2: გალის რაიონი ნამდვილ საზღვრებში



წყარო: GEOLAND

**ცხრილი #2: გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილი სკოლები და სწავლების ენა**

სკოლის დასახელება და სტატუსი (საბაზისო, საშუალო, საჯარო)	მდებარეობა	სწავლების ენა 1994 წლამდე	სწავლების ენა 1994-დან 2014-ს ჩათვლით	სწავლების ენა 2015 წლის სექტემბრიდან
<b>გალის რაიონის ე. წ. ზედა ზონა</b>				
გალის #1 საშ.	ქ. გალი	რუსული	რუსული	რუსული
გალის #2 საშ.	ქ. გალი	ქართული	რუსული	რუსული
მზიურის საშ.	ს. მზიური	ქართული	რუსული	რუსული
ჭუბურხინჯის #1 საშ.	ს. ჭუბურხინჯი	ქართული	რუსული	რუსული
ჭუბურხინჯის #2 საშ.	ს. ჭუბურხინჯი	ქართული	რუსული	რუსული
საბერიოს #1 საშ.	ს. საბერიო	ქართული	რუსული	რუსული
საბერიოს #2 საშ.	ს. საბერიო	ქართულ- რუსული	რუსული	რუსული
ლეკუხონის საშ.	ს. ლეკუხონა	ქართული	რუსული	რუსული
დიხაზურგის საშ.	ს. დიხაზურგა	ქართული	რუსული	რუსული
<b>ოჩამჩირის რაიონს მიკუთვნებული ტერიტორია</b>				
აჩიგვარის საშ.	ს. აჩიგვარა	ქართული	რუსული	რუსული
<b>ტყვარჩელის რაიონს მიკუთვნებული ტერიტორია</b>				
ოქემის საშ.	ს. ოქემი	ქართული	რუსული	რუსული
წარჩის #1 საშ.	ს. წარჩე	ქართული	რუსული	რუსული
წარჩის #2 საშ.	ს. წარჩე	ქართული	რუსული	რუსული
ჩხორთოლის საშ.	ს. ჩხორთოლი	ქართულ- აფხაზური	რუსული	რუსული
მუხურის საშ.	ს. მუხური	ქართული	რუსული	რუსული
ღუმურიშის საშ.	ს. ღუმურიში	ქართული	რუსული	რუსული
ნარინჯოვანის საშ.	ს. პირველი გალი	ქართული	რუსული	რუსული

კობორის საშ.	ს. კობორა	რუსული	რუსული	რუსული
რეჩხის საშ.	ს. რეჩხი	ქართული	რუსული	რუსული
რეჩხი-ცხირის საშ.	ს. რეჩხი-ცხირი	ქართული	რუსული	რუსული
<b>გალის რაიონის ე. წ. ქვედა ზონა</b>				
ზემო ბარლების საშ.	ს. ზემო ბარლები	ქართული	ქართული	რუსული 1-4 კლასები (დაწყებითი); ქართული 5-11 კლასები
ქვემო ბარლების საშ.	ს. ქვემო ბარლები	ქართული	ქართული	რუსული 1-4 კლასები (დაწყებითი); ქართული 5-11 კლასები
გაგიდის საშ.	ს. გაგიდა	ქართული	ქართული	რუსული 1-4 კლასები (დაწყებითი); ქართული 5-11 კლასები
თაგილონის საშ.	ს. თაგილონი	ქართული	ქართული	რუსული 1-4 კლასები (დაწყებითი); ქართული 5-11 კლასები
სიდის საშ.	ს. სიდა	ქართული	ქართული	რუსული 1-4 კლასები (დაწყებითი); ქართული 5-11 კლასები
ფიჩორის საშ.	ს. ფიჩორი	ქართული	ქართული	რუსული 1-4 კლასები (დაწყებითი); ქართული 5-11 კლასები
ოტობაის #1 საშ.	ს. ოტობაია	ქართული	ქართული	რუსული 1-4 კლასები (დაწყებითი); ქართული 5-11 კლასები
აფხაზეთის #13 საჯ. ნაბაკევი	ს. ნაბაკევი	ქართული	ქართული	რუსული 1-4 კლასები (დაწყებითი); ქართული 5-11 კლასები
აფხაზეთის #16 საჯ. მეორე ოტობაიაში	ს. მეორე ოტობაია	ქართული	ქართული	რუსული 1-4 კლასები (დაწყებითი); ქართული 5-11 კლასები
განახლების საბ.	ს. განახლება	ქართული	ქართული	რუსული 1-4 კლასები (დაწყებითი); ქართული 5-11 კლასები
თაგილონის საბ.	ს.თაგილონი	ქართული	ქართული	რუსული 1-4 კლასები (დაწყებითი); ქართული 5-11 კლასები

წყარო: გალის რესურსცენტრი

ქართული ენაზე სწავლების რუსულით ჩანაცვლების თაობაზე აფხაზური ადმინისტრაციის და რუსული მხარის პოზიცია შემდეგია: აფხაზი მოხელეების დიდი ნაწილის განმარტებით, აფხაზეთის სკოლებში ქართული წიგნებით სწავლების წარმართვა იდეოლოგიურად მიუღებელია, რადგან ქართული სკოლების კურსდამთავრებულები აფხაზური სახელმწიფოსადმი ლოიალურად განწყობილნი არ არიან.<sup>27 28 29 30 31 32 33</sup> ზოგი კი იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ რუსულ ენაზე სწავლება, გალელ ახალგაზრდებს აფხაზეთში და რუსეთში კარიერული და აკადემიური განვითარების კარს გაუხსნის.<sup>34 35</sup> ხაზი გაესვა იმასაც, თითქოს ქართული ენა გალის რაიონის მოსახლეობის მშობლიურ ენას არ წარმოადგენს და რომ მათ მშობლიურ ენად მხოლოდ მეგრული ენა შეიძლება მიიჩნეოდეს.<sup>36</sup> აფხაზური და რუსული მხარის განმარტებითვე, გალში არსებული ვითარება ეთნიკური უმცირესობების ჭრილში უნდა იქნეს განხილული და თუ ასე მოხდება, მათი უფლებრივი მდგომარეობა საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს.<sup>37</sup>

აფხაზური კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს „აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის მიერ მშობლიური ენის თავისუფლად გამოყენების უფლებას.“<sup>38</sup> იმავეს იმეორებს სახელმწიფო ენის შესახებ კანონი, რომლის თანახმადაც, „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ მშობლიურ ენაზე განათლება და ამასთანავე აირჩიონ სწავლების ენა იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რომელსაც განათლების სისტემა სთავაზობს;“ „აფხაზეთში არსებულ ეროვნულ კულტურულ თემებს, შეუძლიათ დადგენილი წესით შექმნან სკოლამდელი და კულტურის დაწესებულებები, მათ მშობლიურ ენაზე.“<sup>39 40</sup>

აფხაზური კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები მეტნაკლებად უზრუნველყოფილია აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის; მაგალითად,

---

<sup>27</sup> Rimple, Paul, and Temo Bardzimashvili. "Abkhazia: Gali Students Dodge Russian Border Guards for Education in Georgian." EURASIANET.org. N.p., 22 დეკემბერი 2010. Web.

<sup>28</sup> "А накануне сопредседатели Женевских дискуссий посетили Галский район." YouTube. YouTube, 19 თებერვალი 2015. Web.

<sup>29</sup> "Школы Галского района перейдут на абхазскую программу обучения." Sputnik Абхазия. N.p., 21 თებერვალი 2015. Web.

<sup>30</sup> "Пресс-конференция и.о. главы Администрации Гальского района Темура Надарая." YouTube. YouTube, 28 მარტი 2015. Web.

<sup>31</sup> "Президент Абхазии в Галском районе." Все об отношениях Абхазии и России. N.p., 12 მარტი 2015. Web.

<sup>32</sup> "Какова ситуация в Гальских школах сегодня." YouTube. YouTube, 10 დეკემბერი 2014. Web.

<sup>33</sup> "Гальский район 07.08.2015." YouTube. YouTube, n.d. Web. 8 აგვისტო 2015.

<sup>34</sup> Адлейба, Стелла. "Грузинские учебники в Гале: сепаратисты и русский медведь." Все об отношениях Абхазии и России. N.p., 19 მარტი 2015. Web.

<sup>35</sup> Human Rights Watch, "Living in Limbo; The Rights of Ethnic Georgian Returnees to the Gali District of Abkhazia", 2011.

<sup>36</sup> ინტერვიუ ელენე აგლაძესთან; ინტერვიუ ქეთევან ციხელაშვილთან.

<sup>37</sup> ინტერვიუ ელენე აგლაძესთან.

<sup>38</sup> СТАТЬЯ 6. Государственный язык Республики Абхазия – абхазский, Конституция Республики Абхазия, Народное Собрание-Парламент Республики Абхазия.

<sup>39</sup> СТАТЬЯ 7. Язык воспитания и обучения, ЗРА "О Государственном языке Республики Абхазия", Народное Собрание-Парламент Республики Абхазия.

<sup>40</sup> Comai, Giorgio. "In Abkhazia, worried about the language law." Osservatorio Balcani E Caucaso. N.p., 16 ნოემბერი 2011. Web.

2012 წლის ნოემბრის მონაცემებით, აფხაზეთში 169 სკოლა მოქმედებდა, რომელთაგან 62 აფხაზურად მიიჩნეოდა, 48 რუსულად, 16 რუსულ-აფხაზურად, 32 სომხურად და 11 ქართულად.<sup>41</sup>

სომხურენოვანი სკოლების შემთხვევა ქართულენოვანი სკოლებისას ჩამოჰგავს. აფხაზების მიერ, 2011 წელს ჩატარებული სტატისტიკური აღწერის მონაცემებით, ეთნიკური ქართველების რაოდენობა 46000, ხოლო სომხების 42000-ია.<sup>42</sup> მოსახლეობის რიცხოვრივი უპირატესობის მიუხედავად, სომხურენოვანი სკოლების რაოდენობა სამჯერ აღემატებოდა ქართულენოვანი სკოლების რაოდენობას. მეტიც, ამ სკოლებში სწავლება სომხეთში გამოცემული წიგნებითაა დაშვებული<sup>43</sup> და ისიც, სომხეთის რესპუბლიკაში გავრცელებულ აღმოსავლეთ სომხურ დიალექტზე, და არა ადგილობრივების სალაპარაკო, დასავლეთ სომხურ (ჰემშინურ) დიალექტზე, რომელიც რამდენადმე განსხვავდება სტანდარტული სომხურისგან.<sup>44 45</sup>

სომხურენოვანი სკოლების შემთხვევა აბათილებს აფხაზური და რუსული მხარის არგუმენტებს და ცხადყოფს, რომ ქართველები, აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამას მოწმობს ისიც, რომ გალის რაიონის 31-ვე სკოლის კურსდამთავრებულს აფხაზურ ატესტატში მშობლიურ ენად ეწერება არა ამ ჯგუფის მშობლიური ენა, როგორც ეს სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის ხდება, არამედ რუსული ენა.<sup>46</sup>

ამიტომ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზური ადმინისტრაციის განათლების პოლიტიკა გალის რაიონის ტერიტორიაზე ქართული ენის განდევნას და მის რუსულით სრულ ჩანაცვლებას ემსახურება. ქართული ენის, როგორც გალის მოსახლეობის მშობლიური ენის და ეთნიკური ქართველების იდენტობის უმნიშვნელოვანესი ელემენტის შეზღუდვა კი, თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც განათლების უფლების შეზღუდვა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია. ირღვევა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული განათლების უფლება (მუხლი 26);<sup>47 48</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით აღიარებული განათლების უფლება (მუხლი 13);<sup>49</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით აღიარებული განათლების

---

<sup>41</sup> Giorgio Comai, Bernardo Venturi, Language and education laws in multi-ethnic de facto states: the cases of Abkhazia and Transnistria Nationalities Papers, Vol. 43, Iss. 6, 2015.

<sup>42</sup> НАСЕЛЕНИЕ АБХАЗИИ; ТЕРРИТОРИЯ СОВРЕМЕННОЙ АБХАЗИИ (1886 г.), ЭТНО-КАВКАЗ.

<sup>43</sup> Comai Giorgio (2013), "Sovereignty Conflicts and Minority Protection: the Case of Abkhazia" in Self-determination and sovereignty in Europe, Angelo Longo, Ravenna. [ISBN 9788880637608]

<sup>44</sup> Comai, Giorgio. "Abkhazia's Armenians, Multilingualism Is the Future." Osservatorio Balcani E Caucaso. N.p., 30 Nov. 2011. Web.

<sup>45</sup> Дмитрий Статейнов, "Моя дочка знала всего три слова на армянском - море, цыплёнок и рыба", Все об отношениях России и Абхазии, 10 სექტემბერი 2015.

<sup>46</sup> ინფორმაცია მოწოდებულია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ.

<sup>47</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1948.

<sup>48</sup> საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას აფხაზური კონსტიტუციაც აღიარებს.

<sup>49</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1966.

უფლება (მუხლი 29);<sup>50</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმით აღიარებული განათლების უფლება (მუხლი 2)<sup>51</sup> და ა. შ.

ამ მოსაზრებებს ამყარებს ისიც, რომ რუსულ ენაზე გადასვლის კვალდაკვალ, მცირდება ქართული ენისა და ლიტერატურისთვის გამოყოფილი საათებიც. ამ მხრივ, ვითარება შემდეგნაირია:

- გალის რაიონის ტყვარჩელსა და ოჩამჩირის რაიონებს მიკუთვნებული სოფლების სკოლებში, ქართულ ენასა და ლიტერატურას 2008 წლიდან არცერთი საათი აღარ ეთმობა. საათების შემცირებას ქართული ენისა და ლიტერატურის 26 მასწავლებლის გათავისუფლება მოჰყვა;
- 2015-2016 სასწავლო წელს, გალის რაიონის ე. წ. „ზედა ზონის“ სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას თითო-თითო საათი ეთმობა (2014-2015 სასწავლო წელს ეთმობოდა 2-2);
- 2015-2016 სასწავლო წელს, გალის რაიონის ე. წ. „ქვედა ზონის“ სკოლების დაწყებით კლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურას სულ 3 საათი ეთმობა, 5-7 კლასებში 3-3 საათი, 8-11 კლასებში კი თითო-თითო საათი (2013-2014 და 2014-2015 სასწავლო წლებში მაშინდელი მაჩვენებლები სულ მცირე ორჯერ აღემატებოდა ამჟამინდელს).<sup>52 53 54</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გალის რაიონის არცერთ სკოლამდელ დაწესებულებაში (გალის (2), საბერიოს (2), მზიურის, ოქუმის, სიდის და ზემო ბარლების საბავშვო ბაღები) სასწავლო პროცესი ქართულ ენაზე დაშვებული არსად არ არის.<sup>55</sup>

## გამყოფ ხაზზე მიმოსვლა

გალის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე სოფლებში მცხოვრები ბავშვები, ხშირად, გეოგრაფიული სიახლოვის გამო და მშობლიურ ენაზე ხარისხიანი განათლების მიღების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლებში ამჯობინებენ სწავლას.<sup>56</sup> საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრისთანავე, მათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული ავტობუსები ემსახურებიან.<sup>57</sup> თუმცა, ბოლო წლებში ვითარება ამ მხრივაც საგანგაშო გახდა; 2008 წლის შემდეგ გამყოფ ხაზთან რუსი

<sup>50</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1989.

<sup>51</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი, ევროპის საბჭო, 1952.

<sup>52</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი სიახლეები, თბილისი, 2015.

<sup>53</sup> ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ; 2014 წელი, საქართველოს სახალხო დამცველი, თბილისი, 2014.

<sup>54</sup> "Какова ситуация в Гальских школах сегодня." YouTube. YouTube, 10 დეკემბერი 2014. Web.

<sup>55</sup> ინფორმაცია მოწოდებულია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ.

<sup>56</sup> Rimple, Paul, and Temo Bardzimeashvili. "Abkhazia: Gali Students Dodge Russian Border Guards for Education in Georgian." EURASIANET.org. N.p., 22 Dec. 2010. Web.

<sup>57</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი სიახლეები, თბილისი, 2015.



მესაზღვრეების გამოჩენამ და გალის ადმინისტრაციის მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა ერთი-ორად შეამცირა გამყოფ ხაზზე მოსწავლეთა მიმოსვლა (ცხრილი #1).<sup>58</sup>

**ცხრილი #3: მოსწავლეთა მიმოსვლა გამყოფ ხაზზე**

მიმართულება და წელი	2011	2012	2013	2014	2015
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩიდან გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლაში.	40	22	13	7	5
გალის რაიონის სოფელ საბერიოდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყოუშში	-	-	48	18	11
გალის რაიონის სოფელ საბერიოდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანში	-	-	13	12	12
გალის რაიონის სოფელ ოტობაიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში	-	-	34	18	15

წყარო: სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში.

**ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა**

უმადლესი განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ, ვითარება შემდეგია: როგორც წესი, გალის რაიონის სკოლების კურსდამთავრებულთა ნახევარი ან არ აგრძელებს სწავლას ან სოხუმის აფხაზურ სახელმწიფო უნივერსიტეტში აბარებს, დანარჩენი კი, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ამჯობინებს სწავლას (ცხრილი #4). სამწუხაროდ, ღია წყაროებით ვერ მოხერხდა იმის ზუსტად დადგენა, თუ რამდენი კურსდამთავრებული აბარებდა და სწავლას აგრძელებდა სოხუმის აფხაზურ სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული დაუზუსტებელი ინფორმაციით, თუ 2012-2013 წლებში აფხაზურ სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლებლად წამსვლელთა რაოდენობა 12-ს არ აჭარბებდა, წლეულს 62-ს მიაღწია,<sup>59</sup> 24 მათგანი სპეციალურად დაწესებული უფასო პროგრამის ფარგლებში.<sup>60</sup>

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული ენის სწავლების აკრძალვასთან ერთად, სოხუმის აფხაზურ სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველ გალელთა რაოდენობა კიდევ უფრო იმატებს. თუ აბიტურიენტებს რუსული ზოგადი განათლება ექნებათ მიღებული, რუსულად სწავლის გაგრძელების მეტი სურვილი და შესაძლებლობა გაუჩნდებათ, ვიდრე ქართულად, საქართველოს უნივერსიტეტებში.<sup>61</sup> ამას ხელს უწყობს კიდევ რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის ისიც, რომ გალელი კურსდამთავრებულებისთვის მოქმედებს

<sup>58</sup> იგივე.

<sup>59</sup> Анаида Фарманян, Темур Надарая: Галский район из категории одного из самых сложных районов по криминогенной ситуации стал одним из самых спокойных, Черемская правда, 12 ნოემბერი, 2015

<sup>60</sup> Conciliation Resources, The Realm of the Possible Finding ways forward in the Georgian-Abkhaz context: People in the Gal/i region, ივნისი 2015. [http://www.c-r.org/downloads/CR\\_The\\_Realm\\_of\\_the\\_possible\\_Gal-i\\_43\\_webEn.pdf](http://www.c-r.org/downloads/CR_The_Realm_of_the_possible_Gal-i_43_webEn.pdf)

<sup>61</sup> ამაზე მეტყველებს წლეულს ეროვნული გამოცდებისთვის დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა სტატისტიკაც: რუსული სკოლების კურსდამთავრებულთა რაოდენობა საგრძნობლად ჩამოვარდება ქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა მაჩვენებლებს (ე. წ. „ზედა ზონა“ – 77; ე. წ. „ქვედა ზონა“ – 94; ტყვარჩელს მიკუთვნებული სკოლები - 18; აჩიგვარა - 1).

ინფორმაცია მოწოდებულია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ.

შეღავათების სისტემა; 2002 წლის შემდეგ, გალის სკოლების კურსდამთავრებულები უნივერსიტეტში ჩაბარებას გამოცდების ნაცვლად, გასაუბრების საფუძველზე ახერხებენ. 2014 წელს კი, ამ სტუდენტებისთვის, გალი-სოხუმის უფასო ავტობუსიც გაიხსნა.<sup>62</sup> ამასთანავე, აფხაზეთის მოქალაქეები რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში კვოტებით სარგებლობენ, რაც ბევრისთვის კარიერული ზრდის საკმაოდ კარგ შესაძლებლობად მიიჩნევა.<sup>63</sup> ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური ადმინისტრაცია საქართველოში მიღებულ განათლებას არ აღიარებს, რაც საქართველოს უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს გალში დაბრუნების და იქ მუშაობის არჩევანს უზღუდავს.

აღსანიშნავია, რომ დანარჩენ საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველთა უმნიშვნელო შემცირება უკვე შეიმჩნევა. ცხრილი #4 მოწმობს, რომ თუ 2010-2012 წლებში კურსდამთავრებულთა საშუალოდ 65% რეგისტრირდებოდა ეროვნულ გამოცდებზე, მომდევნო სამი წლის მაჩვენებელი 7%-ით არის შემცირებული.

**ცხრილი #4: ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა**

წლები	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	აბიტურიენტად დარეგისტრირებულთა რაოდენობა და %		ჩარიცხულთა რაოდენობა და %	
2010	315	192	61.0%	90	46.9%
2011	309	198	64.1%	126	63.6%
2012	223	156	70.0%	71	45.5%
2013	239	145	60.7%	60	41.4%
2014	272	147	54.0%	86	58.5%
2015	323	190	58.8%	90	47.4%

წყარო: გალის რესურსცენტრი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ ძალუძს საგანმანათლებლო პოლიტიკა ადგილზე და სრულფასოვნად განახორციელოს, მისი პირდაპირი ვალდებულებაა წინ აღუდგეს მშობლიური ენის შეზღუდვას და შეამსუბუქოს ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც სწავლების რუსულ ენაზე დაუგეგმავად და იძულებით გადაყვანას მოყვება.

საქართველოს ხელისუფლების საპასუხო ნაბიჯები კომპლექსურობას მოითხოვს; ერთი მხრივ, გამოყენებული უნდა იქნას პრობლემის გადაწყვეტის ყველა შესაძლო საერთაშორისო პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმი, ხოლო მეორე მხრივ, უნდა მოიძებნოს პრაქტიკული გადაწყვეტილებები, რომლითაც ადგილობრივი ქართველები ხარისხიანი განათლების მშობლიურ ენაზე მიღებას ადგილზე გააგრძელებენ.

მომდევნო თავებში დაწვრილებით არის განხილული სახელმწიფოს პოლიტიკის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო გალის რაიონის ტერიტორიაზე არსებული სასწავლო დაწესებულებების მიმართ. საუბარია ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების პროგრამების შესახებ და ამ ღონისძიებების დახვეწის მიზნით, წარმოდგენილია რეკომენდაციები.

<sup>62</sup> იგივე.

<sup>63</sup> Markko Kallonen, Conflict Affected Peoples' Access to Education: IDP Pupils in Georgia, Università di Bologna, 2014.



## საკანონმდებლო ჩარჩო

2010 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და მისივე სამოქმედო გეგმა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ორი უმთავრესი დოკუმენტია. გალის რაიონის სკოლების მიმართ სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკაც, ამ ორი დოკუმენტის ფარგლებში ხორციელდება.

სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საკითხს განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებს და საუბრობს მშობლიურ ენაზე განათლების უზრუნველყოფასა და ქართული სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობაზე ქართულენოვანი მოსახლეობისთვის.<sup>64</sup> ამასთანავე, სტრატეგიის თანახმად, უნდა წახალისდეს ერთობლივი სამეცნიერო კვლევები და აკადემიური სასწავლო პროგრამები (მათ შორის, პროფესიული პროგრამებიც) გამყოფ ხაზს მიღმა დარჩენილ მოსახლეობასა და დანარჩენ საქართველოს შორის.<sup>65</sup> ასევე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აფხაზურ და ოსურ ენებზე სახელმძღვანელოების შექმნა და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს, უნდა მიეცეთ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობა.<sup>66</sup>

რაც შეეხება ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმას, დოკუმენტი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის განათლების ხელმისაწვდომობის საკითხს ზოგადად განიხილავს და არა კერძოდ, გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე განათლებას.<sup>67</sup> საუბარია ეროვნული გამოცდების ოსურ და აფხაზურ ენებზე ჩაბარების შესაძლებლობაზე, საგანმანათლებლო მოწმობების აღიარებაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზოლოგიის მიმართულების გაძლიერებაზე, დაწყებითი კლასებისთვის ქართული და ოსური სახელმძღვანელოების შემუშავებაზე, საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვის სპეციალური ლიტერატურის შექმნაზე და ა. შ.<sup>68</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სტრატეგია და მეტადრე, მისი სამოქმედო გეგმა სათანადოდ ვერ ასახავს გალის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ვითარების სიმძაფრეს. სახელმწიფო სტრატეგიაში, მშობლიურ ენაზე განათლების და ქართული წიგნების უზრუნველყოფის საკითხებისთვის პრიორიტეტის მინიჭება, ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, კრიტიკას ვერ უძლებს სამოქმედო გეგმა, სადაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველები ერთიან კონტექსტში განიხილებიან და არა, როგორც ცალკე სამიზნე ჯგუფი. შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში სახელმწიფოს მიერ კონკრეტულად მათთვის და მათი საჭიროებების გათვალისწინებით განსახორციელებელი

<sup>64</sup> საქართველოს მთავრობა, სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“, [http://gov.ge/files/224\\_31227\\_132584\\_SMR-Strategy-ge\(1\).pdf](http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf)

<sup>65</sup> იგივე.

<sup>66</sup> იგივე.

<sup>67</sup> საქართველოს მთავრობა, ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, [http://gov.ge/files/224\\_31227\\_382248\\_action\\_plan\\_ge.pdf](http://gov.ge/files/224_31227_382248_action_plan_ge.pdf)

<sup>68</sup> იგივე.

ინიციატივები არსად იძებნება. ბუნებრივია, სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებების სრულად ამოქმედების შემთხვევაში, ეთნიკური ქართველებიც ისარგებლებენ, მაგრამ რადგან მათი უფლებრივი მდგომარეობა საგრძნობლად განსხვავდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სხვა ჯგუფებისგან, საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა.

*შესაბამისად, მნიშვნელოვანია სულ მცირე ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში მოხდეს იმ მექანიზმებისა და პროგრამების წარმოჩენა, რომლებიც გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე ხარისხიანი განათლების მიღების მიზნით ახორციელებს და/ან უნდა განახორციელოს საქართველოს სახელმწიფომ.*

## ინსტიტუციური ჩარჩო

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გალის რაიონის სკოლებისათვის რამდენიმე პროგრამას ახორციელებს. მათ შორის უმთავრესია „**ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების**“ პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ბენეფიციარების (იხ. ცხრილი #1) ფინანსურ (სოციალურ) დახმარებას შემდეგი ოდენობით: ა) დირექტორებისთვის თვეში 210 ლარის ოდენობით; ბ) პედაგოგებისთვის თვეში 200 ლარის ოდენობით; გ) ტექნიკურ პერსონალისთვის თვეში 130 ლარის ოდენობით.<sup>69</sup>

სახელმწიფომ გალელი პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება 2001 წლიდან წამოიწყო. 1994-2001 წლებში სკოლები არ ფინანსდებოდა, 2001-2004 წლებში კი დახმარება, მასწავლებლებისთვის წლიური 200 ლარით, ხოლო ტექნიკური პერსონალისთვის წლიური 150 ლარით შემოიფარგლებოდა.<sup>70</sup> მომდევნო 3 წლის განმავლობაში, ფინანსური დახმარება პედაგოგებისათვის თვეში 120 ლარით განისაზღვრა, ხოლო ტექნიკური პერსონალისთვის 80 ლარით.<sup>71</sup> მოქმედი ფორმითა და ოდენობით, პროგრამა 2008 წელს იქნა დამტკიცებული<sup>72</sup> და მას შემდეგ არ შეცვლილა.

პროგრამის ბენეფიციართა სიების შედგენაზე და მათ სიზუსტეზე პასუხისმგებელია აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ო დროებითი ადმინისტრაცია. რაც შეეხება გალის რაიონის ორ საჯარო სკოლას (აფხაზეთის #13

<sup>69</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი, ზოგადი განათლების მიმდინარე პროგრამები. <http://mes.gov.ge/content.php?id=5887&lang=geo>

<sup>70</sup> ინფორმაცია მოწოდებულია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ.

<sup>71</sup> იგივე.

<sup>72</sup> განათლება გამყოფ ხაზთან: განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში გამყოფი ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი და ქსელი „სინერჯია“, თბილისი, 2015.

საჯ. ნაბაკევი და აფხაზეთის #16 საჯ. მეორე ოტობაიაში), მასწავლებელთა დაფინანსება, აქ ვაუჩერული სისტემის მიხედვით ხორციელდება.<sup>73</sup>

ამ პროგრამის არსებობა ერთმნიშვნელოვნად დადებითი ფაქტია. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ გალელი პედაგოგებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები უფრო სიმბოლური ხასიათის არის, ვიდრე რეალური ფინანსური დახმარების. საქმე იმაშია, რომ მათთვის განკუთვნილი თანხის ოდენობა ერთი-ორად ჩამოუვარდება დანარჩენ საქართველოში მცხოვრები მასწავლებლების ხელფასებს, რაც მათ უსამართლო მდგომარეობაში აყენებს. იმ პირობების გათვალისწინებით კი, რა პირობებშიც გალელ მასწავლებლებს უწევთ მუშაობა, არსებული ოდენობის დახმარების უცვლელად დატოვება დაუშვებელია. თუმცა, ახალი ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები, მათ შორის მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაცია და სამსახურებრივი სტაჟი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, როგორც ახალგაზრდა ისე ზრდასრული მასწავლებლების ინტერესები.

- *შესაბამისად, სასურველია შემუშავდეს ფინანსური დახმარების ოდენობის განსაზღვრის სპეციალური ფორმულა რომლითაც, ერთი მხრივ, ყველასთვის იქნება უზრუნველყოფილი საბაზისო ფიქსირებული დახმარება არსებული ოდენობით, ხოლო მეორე მხრივ, საბაზისო თანხაზე დანამატის განსაზღვრისას შესაძლებლობისამებრ თანაბრად იქნება გათვალისწინებული, როგორც მასწავლებლის პროფესიული კვალიფიკაცია, ისე სამსახურებრივი სტაჟი.*

ფინანსური დახმარების პროგრამასთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მეშვეობით „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამასაც ახორციელებს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მასწავლებელთა გადამზადებას შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. რუსული ენა; 3. ისტორია; 4. გეოგრაფია; 5. მათემატიკა; 6. ზოგადი უნარები; 7. ინგლისური და 8. ბიოლოგია. ქვეპროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს.<sup>74</sup> გადამზადების 3 თვიანი პროცესის შემდეგ, გალის რაიონის პედაგოგები 3 თვის განმავლობაში გალის რაიონის მოსწავლეებს ამეცადინებენ.<sup>75</sup> აბიტურიენტებს და პედაგოგებს გადაეცემათ საგამოცდო კრებულები და მოსამზადებელი სახელმძღვანელოები.

2005-2013 წლებში გალელი აბიტურიენტები ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებას, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს „ოკუპირებული ტერიტორიის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ზუგდიდში

<sup>73</sup> ინფორმაცია მოწოდებულია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ.

<sup>74</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი, ზოგადი განათლების მიმდინარე პროგრამები. <http://mes.gov.ge/content.php?id=5878&lang=geo>

<sup>75</sup> იგივე.

გადიოდნენ.<sup>76</sup> ქვეპროგრამის წლიური ბიუჯეტი 2010 და 2013 წლებში 6000 ლარს შეადგენდა.<sup>77</sup>  
<sup>78</sup> გამყოფ ხაზზე მიმოსვლის გართულების გამო, მიდგომა შეიცვალა და ახლა ზუგდიდში გადამზადებული მასწავლებლები, გალის რაიონის ტერიტორიაზე, 4 სხვადასხვა ადგილზე ამეცადინებენ მოსწავლეებს.<sup>79</sup>

ამ პროგრამის ფარგლებში, 2015 (2014) წლის განმავლობაში, გალის რაიონისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების<sup>80</sup> აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს გადაეცათ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული 2277 (1672) საგამოცდო კრებული და დამხმარე სახელმძღვანელო.<sup>81 82</sup> ამავდროულად, პედაგოგების საგნობრივი გადამზადების მიზნით, ცენტრის თანამშრომლების მიერ გადამზადდა გალის რაიონის 45 (47) მასწავლებელი, რომლებმაც თავის მხრივ, 450-მდე (450-მდე) აბიტურიენტს ჩაუტარეს მოსამზადებელი ტრენინგები ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.<sup>83 84</sup>

აღნიშნული პროგრამის არსებობა ცალსახად დადებითი ფაქტია. შესაბამისად,

- *აუცილებელია გაგრძელდეს და გაფართოვდეს „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამა, ისე რომ მან მეტი აბიტურიენტი და აბიტურიენტებთან ერთად, შედარებით დაბალი კლასების მოსწავლეებიც მოიცვან; ქვეპროგრამის 6 თვიანი ციკლი განხორციელდეს წელიწადში ორჯერ.*

გალის რაიონზე ვრცელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კიდევ ერთი, „*მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის*“ პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2015-2016 სასწავლო წელს ზოგადი განათლების მისაღებად საჭირო გრიფირებული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილნი იქნებიან (სხვა კატეგორიის სკოლებთან ერთად) გალის რაიონის (ენგურს მოსაზღვრე 9 სკოლა) ოკუპირებულ

---

<sup>76</sup> აფხაზეთის მთავრობა, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის კანონი. [http://abkhazia.gov.ge/files/documents/biujeti\\_2013\\_wlis.pdf](http://abkhazia.gov.ge/files/documents/biujeti_2013_wlis.pdf)

<sup>77</sup> იქვე.

<sup>78</sup> აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო. 2010 წლის ანგარიში. <http://meca.gov.ge/itst/index.php?module=Content-House&action=view&id=1506&lang=geo>

<sup>79</sup> განათლება გამყოფ ხაზთან: განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში გამყოფი ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი და ქსელი „სინერგია“, თბილისი, 2015.

<sup>80</sup> აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სკოლები, რომლებიც დანარჩენ საქართველოში მდებარეობენ.

<sup>81</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. [http://www.mof.ge/images/File/biuj2015\\_6tve/TAVI\\_V.pdf](http://www.mof.ge/images/File/biuj2015_6tve/TAVI_V.pdf)

<sup>82</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. [http://www.mof.ge/images/File/biuj2014\\_12tve/TAVI\\_V.pdf](http://www.mof.ge/images/File/biuj2014_12tve/TAVI_V.pdf)

<sup>83</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. [http://www.mof.ge/images/File/biuj2015\\_6tve/TAVI\\_V.pdf](http://www.mof.ge/images/File/biuj2015_6tve/TAVI_V.pdf)

<sup>84</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. [http://www.mof.ge/images/File/biuj2014\\_12tve/TAVI\\_V.pdf](http://www.mof.ge/images/File/biuj2014_12tve/TAVI_V.pdf)



ტერიტორიებზე არსებული იმ სკოლების მოსწავლეები, სადაც სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე.<sup>85 86</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ წიგნების ნაკლებობა ადგილობრივი სკოლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა,<sup>87</sup> „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ პროგრამაში, გალის რაიონის სკოლების ჩართვა ცალსახად დადებითი ფაქტია. თუმცა, გაუგებარია თუ რატომ არ ვრცელდება პროგრამა გალის რაიონის დანარჩენ სკოლებზე, ხოლო პროგრამის მეორე - დამხმარე ლიტერატურით უზრუნველყოფის - კომპონენტი გალის რაიონის არცერთ სკოლაზე.

იმის გამო, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული წიგნების შეტანა მალულად ხდება, კვლევის პროცესში ვერ დადგინდა მოხერხდა თუ არა სასკოლო სახელმძღვანელოების შეტანა მიმდინარე წელს. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბოლო წლებში წიგნების მასიურად გადატანას ადგილი არ ჰქონია.<sup>88</sup>

- შესაბამისად, აუცილებელია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ პროგრამის ორივე კომპონენტი (სასკოლო სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა) გალის რაიონის 31-ვე სკოლაზე გავრცელდეს.

გალის რაიონის მოსწავლეებზე ვრცელდება „ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამაც (ზაკალაგრებისათვის)“, რომლის ფარგლებშიც სწავლის გადასახადი უფინანსდებათ იმ სტუდენტებს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს გალის რაიონის ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და წარმატებით გადალახეს ერთიანი ეროვნული გამოცდები.<sup>89</sup> აღნიშნული პროგრამით, 2015-2016 სასწავლო წელს 87 სტუდენტი დაფინანსდა, 2014 წელს კი, 82 (ცხრილი #5).

**ცხრილი #5: ეროვნულ გამოცდებში და სტუდენტთა სოციალურ პროგრამაში ჩართულობა**

წლები	კურსამთავრებულთა რაოდენობა	აბიტურიენტად დარეგისტრირებულთა რაოდენობა	ჩარიცხულთა რაოდენობა	სასწავლო გრანტით დაფინანსებული სოციალური პროგრამის ფარგლებში
-------	----------------------------	--	----------------------	--

<sup>85</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი, ზოგადი განათლების მიმდინარე პროგრამები. <http://mes.gov.ge/content.php?id=5892&lang=geo>

<sup>86</sup> გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2013-2014 და 2014-2015 სასწავლო წლებში სასკოლო სახელმძღვანელოები გაიცა ე. წ. „ქვედა ზონის“ 11 სკოლაზე.

<sup>87</sup> განათლება გამყოფ ხაზთან: განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში გამყოფი ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი და ქსელი „სინერჯია“, თბილისი, 2015.

<sup>88</sup> წიგნების ბოლო მასიური შეტანა 2009 წელს განხორციელდა; მაშინ, გალის რაიონის 31 სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ I-III კლასების 37637 ცალი გრიფირებული სახელმძღვანელო გამოუყო.

ინფორმაცია მოწოდებულია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ.

<sup>89</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი, უმაღლესი განათლების მიმდინარე პროგრამები. <http://mes.gov.ge/content.php?id=4791&lang=geo>

2010	315	192	90	83
2011	309	198	126	77
2012	223	156	71	71
2013	239	145	60	60
2014	272	147	86	82
2015	323	190	90	87

წყარო: გალის რესურსცენტრი

გალის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე, სტუდენტთა სოციალური პროგრამის არსებობა ერთმნიშვნელოვნად დადებითი მოვლენაა, თუმცა, არასაკმარისი. სწავლის ქირის გარდა, სტუდენტებს კვების, დაბინავების, გადაადგილების, ტანსაცმლის და წიგნების ყიდვისთვის აუცილებელი სახსრები სჭირდებათ, რის უზრუნველყოფასაც, ხშირად მათი მშობლები ვერ ახერხებენ.

2015 წელს, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის 300 ადგილიანი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა დაიწყო,<sup>90</sup> რაც ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯია და სრულად დააკმაყოფილებს თბილისში სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტებს. ამის მიუხედავად, პრობლემად რჩება სხვა ხარჯები და საქართველოს სხვა ქალაქებში სასწავლებლად ჩასული სტუდენტების ბინით უზუნველყოფის საკითხი. შესაბამისად,

- *სასურველია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფის არა მხოლოდ თბილისში სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტები, არამედ საქართველოს სხვა ქალაქების უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტებიც;*
- *სასურველია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიმართოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რათა ამ უკანასკნელმა შეიმუშაოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსწავლეთა სასტიპენდიო პროგრამა, განსაკუთრებული პრიორიტეტით მათზე ვინც პედაგოგიურ განათლებას ეუფლება (იმ დათქმით, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები გარკვეულ დროს გალში დაყოფენ).<sup>91</sup>*

დამატებითი რეკომენდაციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- *განიხილოს სპეციალური პროგრამის შექმნის შესაძლებლობა, რომლის ფარგლებშიც გალის რაიონში მცხოვრები მოსწავლეები დამამთავრებელი კლასის გავლას (XII)<sup>92</sup> საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სკოლებში შეძლებენ და იქვე იცხოვრებენ;*
- *უზრუნველყოს გალელი მოსწავლეებისა და სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა ზოგადი და უმაღლესი განათლების ყველა სხვა პროგრამაში;*

<sup>90</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. [http://www.mof.ge/images/File/biuj2015\\_6tve/TAVI\\_V.pdf](http://www.mof.ge/images/File/biuj2015_6tve/TAVI_V.pdf)

<sup>91</sup> მასწავლებელთა კორპუსის ახალგაზრდებით ჩანაცვლების მიზნით.

<sup>92</sup> აფხაზეთში სკოლა 11 წლიანია.

- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით შეიმუშაოს გალის რაიონის ტერიტორიაზე პედაგოგთა ახალი კადრების მომზადების სტრატეგია.

## აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო (დევენილობაში)

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას აფხაზეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის აფხაზეთის 13 საჯარო სკოლასა და გალის რაიონის 31 სკოლაში.

ბოლო წლებში, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო საქმიანობას 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმით წარმართავდა. დოკუმენტი სახავდა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებული მუშაობის ხელშეწყობის გზებს და თავს უყრიდა სამინისტროს სხვადასხვა სფეროში არსებულ გრძელვადიან ხედვებსა და მიზნებს. სამოქმედო გეგმის არსებობა დადებითად შეიძლება შეფასდეს.

განათლების აღიარების წესის თანახმად, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს შესაბამისი კომისია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარებას ახდენს. ამ შემდეგ კურსდამთავრებულს ეძლევა როგორც ქართული ატესტატი, ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების უფლება.

გალის რაიონის მიმართულებით, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო ახორციელებს „გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც, პედაგოგებზე (65) გაიცემა დახმარება თვეში 100 ლარის ოდენობით, ხოლო ტექნიკურ მუშაკებზე (49) – 80 ლარის ოდენობით.<sup>93</sup>

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ გალის რაიონის ტერიტორიაზე მოქმედ საბავშვო ბაღებში არსებულმა ვითარებამ, ისეთი საერთაშორისო და ადგილობრივი გამოხმაურება ვერ ჰპოვა, როგორც სკოლებში მიმდინარე პროცესებმა. სამწუხაროდ, იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფოზეც; ხელისუფლების ერთადერთი მოქმედი ინსტრუმენტი „გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ ქვეპროგრამაა. ისიც, მხოლოდ ფინანსური დახმარების გაწევას ითვალისწინებს.

გალის რაიონში საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელებას, ხელს უწყობს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი. ომამდე და 1994-2004 წლებში, გალის რაიონის საგანმანათლებლო სისტემას მართავდა გალის რაიონის გამგეობის განათლების განყოფილება,

<sup>93</sup> ინფორმაცია მოწოდებულია გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ.

ხოლო 2004-2006 წლებში გალის რაიონის განათლების სამსახური.<sup>94</sup> 2007 წელს, განათლების სამსახურის ბაზაზე, გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი შეიქმნა. დღეის მონაცემებით, რესურსცენტრის აპარატი 8 თანამშრომელს აერთიანებს<sup>95</sup> და მის უმთავრეს ფუნქციას სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ყველა სახის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორებთან და მასწავლებლებთან კომუნიკაცია და იქ მიმდინარე პროცესების კვლევა-ზედამხედველობა წარმოადგენს.<sup>96</sup> შესაბამისად, გალში არსებული ვითარების შესახებ და იქ მყოფი მასწავლებლებისა და მოსწავლეების საჭიროების შესახებ ყველაზე ნათელ სურათს გალის რესურსცენტრი ფლობს.

**ცხრილი 6: აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ბიუჯეტი**

	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ბიუჯეტი	გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა ფინანსური დახმარება	გალის რაიონის რესურსცენტრის ბიუჯეტი
2009	2789697	84180	85327
2010	2794144	93600	93604
2011	2697128	97200	102434
2012	2693171	97440	106770
2013	2703243	123200	115033
2014	3024079	125100	122990
2015	3064091	125100	122040

წყარო: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მივიჩნევთ რომ:

- აუცილებელია საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, შემუშავდეს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ განათლების პოლიტიკის ერთობლივი სამოქმედო გეგმა;
- აუცილებელია შემუშავდეს გალის რაიონის პედაგოგთა წახალისების და დაჯილდოების მექანიზმები;
- აუცილებელია გაგრძელდეს „გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ ქვეპროგრამა და მოიძებნოს სახსრები, რათა საბავშვო ბაღის აღმზრდელებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე გასაცემი თანხის ოდენობა გაუთანაბრდეს საქართველოს სხვა ბაღებში არსებულ სტანდარტს;
- სასურველია მოიძებნოს გალის რაიონში მოქმედი საბავშვო ბაღების ქართულ ენაზე გამოცემული საბავშვო ლიტერატურით და ქართულ ენაზე გახმოვანებული საბავშვო ფილმებით მომარაგების გზები და სახსრები;
- სასურველია გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გაეზარდოს საბიუჯეტო დაფინანსება, რათა ამ უკანასკნელმა თავად და რეგულარულად შეძლოს ტრენინგების,

<sup>94</sup> იგივე.

<sup>95</sup> იგივე.

<sup>96</sup> აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის 2007 წლის 02 აპრილის №145/მ ბრძანება, გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დროებითი დებულება.



*სემინარებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარება მასწავლებლების და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით;*

- *სასურველია წარჩინებული სტუდენტებისთვის დაარსდეს სასტიპენდიო პროგრამა, განსაკუთრებული პრიორიტეტით მათზე ვინც პედაგოგიურ განათლებას ეუფლება (იმ დათქმით, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები გარკვეულ დროს გალში დაყოფენ).*

## საქართველო საგარეო საქმეთა სამინისტრო და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

გალში მშობლიურ ენაზე სწავლების შეზღუდვის საკითხის საერთაშორისო დონეზე წამოწევა და აქტუალიზაცია, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საკითხი მუდმივად დგას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების დღის წესრიგში, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, რუსეთ-საქართველოს ომის კონფლიქტის შედეგების და რუსეთის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების საკითხების განხილვის უმთავრესი ფორმატია. პრობლემების ამ ფორმატში განხილვა, ორმაგად მნიშვნელოვანია; ერთი მხრივ, ჟენევის მოლაპარაკებები აფხაზი ლიდერებისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დიალოგის ერთადერთი ფორმატია, ხოლო მეორე მხრივ, პრობლემის საერთაშორისო არენაზე დასმის შესაძლებლობა. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებს ევროკავშირის, გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლები თანა-თავმჯდომარეობენ და ესწრებიან საქართველოს, აშშ-ს, რუსეთის, ცხინვალისა და სოხუმის წარმომადგენლები.

მშობლიურ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვის საკითხი ჟენევის მოლაპარაკებების ბოლო რამდენიმე რაუნდის მთავარი თემაა. 2015 წლის 18 თებერვალს, მოლაპარაკებების 31-ე რაუნდის მოსამზადებლად და არსებული ვითარების გასაცნობად, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები გალის რაიონს ესტუმრნენ. მათ განსაკუთრებულ ინტერესს გალის რაიონში ქართული ენის სწავლების საკითხი წარმოადგენდა; დიპლომატები ჯერ გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შეხვდნენ, შემდეგ კი თავილონისა და ნაბაკვის სკოლებს ეწვივნენ.<sup>97 98</sup>

საერთაშორისო ტრიბუნებზე, გალში მშობლიურ ენაზე სწავლების შეზღუდვის საკითხი ქართველი დიპლომატების მიერ მუდმივად დგება.<sup>99</sup> 2015 წლის მაისიდან კი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამუშავებს და აქვეყნებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

<sup>97</sup> " Представители сопредседателей Женевских дискуссий в Галском районе." YouTube. YouTube, 19 თებერვალი 2015. Web.

<sup>98</sup> " Сопредседатели Женевских дискуссий посетили школы Гальского района." YouTube. YouTube, 21 თებერვალი 2015. Web.

<sup>99</sup> ინტერვიუ ელენე აგლაძესთან.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველკვარტალურ ანგარიშებს.<sup>100</sup>

მთლიანობაში, საქართველო საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, საკითხის აქტუალიზაციის მიზნით გაწეული საქმიანობა ადექვატურია. ჩვენი მოსაზრებით, დამატებით საჭიროა,

- *გააგრძელონ კონსულტაციები ევროკავშირთან, სამხრეთ კავკასიაში მის სპეციალურ წარმომადგენელთან და ჟენევის მოლაპარაკებების სხვა თანათავმჯდომარეებთან აფხაზურ და რუსულ მხარეებზე ზეწოლის მიზნით;*
- *გააგრძელდეს საკითხის დაყენება ყველა შესაძლო საერთაშორისო ტრიბუნაზე (გაეროს გენერალური ასამბლეა და კომიტეტები, ევროპის საბჭო, ეუთო და ა. შ.)*
- *საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნით მიმართოს ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლეს კომისარს, რათა უშუალოდ გალის რაიონის ტერიტორიაზე განხორციელდეს ვითარების შესწავლა და შეფასება (უმაღლესი კომისრის ვიზიტის ან ცალკე ანგარიშის მეშვეობით, ისე როგორც მოლდოვის შემთხვევაში - *The Moldovan-Administered Latin-Script Schools in Transnistria; Background, Current Situation, Analysis and Recommendations*);*
- *საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნით მიმართოს გაეროს შესაბამის ინსტიტუტებს, რათა უშუალოდ გალის რაიონის ტერიტორიაზე განხორციელდეს ვითარების შესწავლა და შეფასება;*
- *საგარეო საქმეთა სამინისტრომ ძალისხმევა არ დაიშუროს, რათა აფხაზეთში არსებული ვითარება ევროპის პარლამენტის რეზოლუციებში აისახოს (სასურველია ცალკე დოკუმენტად, ისე როგორც მოლდოვის შემთხვევაში - *Right to education in the Transnistrian region*);*
- *საგარეო საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ანგარიშებში გალის რაიონში მშობლიური ენის აკრძალვის საკითხის სათანადო ასახვა;*
- *საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნით მიმართოს საერთაშორისო უფლებების დამცველ ორგანიზაციებს (*Human Rights Watch; International Crisis Group; Amnesty International* და ა. შ.), რათა უშუალოდ გალის რაიონის ტერიტორიაზე განხორციელდეს ვითარების შესწავლა და შეფასება;*
- *განიხილოს პრობლემის სამართლებრივი გადაწყვეტის გზები.*

---

<sup>100</sup> საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველკვარტალური ანგარიშები. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი.

## საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტში უკვე მრავალი წელია არსებობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია, რომლის მოვალეობა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მიმართული ღონისძიებების შეფასება და კოორდინირება და მათ განხორციელებაზე საპარლამენტო კონტროლის დაწესებაა.

კომისია აქტიურად არის დაკავებული ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენების განხილვაში. თუმცა, დანახებით უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი კომისიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობის შესახებ გამართული ბოლო სხდომა თითქმის 2 წლის წინ, 2014 წლის 19 თებერვალს ჩატარდა.<sup>101</sup>

არცთუ ისე ხშირია, გალის რაიონის ტერიტორიაზე ქართული ენის შევიწროების საკითხის ცალკეული დეპუტატების მიერ პლენარულ სესიაზე და საკომიტეტო მოსმენებზე დაყენების შემთხვევები. მეტიც, აღნიშნული საკითხი პარლამენტის არცერთ რეზოლუციაში, დადგენილებაში და განცხადებაში არ ასახულა. ამიტომ, მისი მანდატის გათვალისწინებით,

- *აუცილებელია საქართველოს პარლამენტმა თხოვნით მიმართოს საერთაშორისო უფლებების დამცველ ორგანიზაციებს (Human Rights Watch; International Crisis Group; Amnesty International და ა. შ.), რათა უშუალოდ გალის რაიონის ტერიტორიაზე განხორციელდეს ვითარების შესწავლა და შეფასება;*
- *აუცილებელია გალის რაიონში მშობლიური ენის შეზღუდვის საკითხს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის სხდომა დაეთმოს;*
- *სასურველია გალის რაიონში მშობლიური ენის შეზღუდვას პარლამენტი განცხადების ან რეზოლუციის სახით გამოეხმაუროს;*

## საქართველოს სახალხო დამცველი

კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას, სახალხო დამცველის 2014 წლის ყოველწლიურ ანგარიშში, ცალკე თავი დაეთმო. მისი ერთ-ერთი ქვეთავი კი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე განათლების უფლების საკითხს შეეხო.<sup>102</sup> ამასთანავე, 2015 წლის ნოემბერში სახალხო დამცველმა გალის რაიონში განათლების უფლების საკითხზე სპეციალური ანგარიშიც გამოაქვეყნა. ანგარიშში აღწერილია საომარი მოქმედებებიდან დღემდე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების და

<sup>101</sup> საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტების ერთობლივი სხდომის ოქმი N33.

<sup>102</sup> ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ; 2014 წელი, საქართველოს სახალხო დამცველი, თბილისი, 2014.

ხელმისაწვდომობის შელახვის არაერთი შემთხვევა და შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.<sup>103</sup>

გალის რაიონში ეთნიკური ქართველების უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აქტიურობა კი, საჭირო და მისასალმებელია. ამიტომ, მივიჩნევთ რომ:

- *აუცილებელია საქართველოს სახალხო დამცველმა გააგრძელოს ყოველწლიურ ანგარიშებში კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის აღწერა და განიხილოს სპეციალური ანგარიშის რეგულარულად გამოქვეყნების შესაძლებლობა;*
- *სასურველია საქართველოს სახალხო დამცველმა თხოვნით მიმართოს საერთაშორისო უფლებების დამცველ ორგანიზაციებს (Human Rights Watch; International Crisis Group; Amnesty International და ა. შ.), რათა უშუალოდ გალის რაიონის ტერიტორიაზე განხორციელდეს ვითარების შეფასება;*
- *სასურველია საქართველოს სახალხო დამცველმა შესაძლებლობისამებრ მხარი დაუჭიროს პრობლემის სამართლებრივი გზებით გადაწყვეტის ინიციატივებს.*

## რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება გალის რაიონს ვერ აკონტროლებს, საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი ცხადყოფს, რომ ხელისუფლების მიერ წარმოებული საქმიანობა ადეკვატურია იმ გამოწვევებისა, რაც გალის რაიონის ტერიტორიაზე ქართული ენის შეზღუდვამ გამოიწვია.

საქართველოს ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს, როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივ დონეზე, რათა ერთი მხრივ, მოახდინოს პრობლემის სათანადო აქტუალიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, შეამსუბუქოს ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც სწავლების რუსულ ენაზე დაუგეგმავად და იძულებით გადაყვანას მოჰყვება. ამ ყველაფრის მიუხედავად, მივიჩნევთ რომ არსებული საქმიანობის დახვეწით და ახალი ინიციატივების შემოღებით, ხელისუფლება გაცილებით უფრო ეფექტიან პოლიტიკას წარმართავს. ამიტომ, ხელისუფლებას ვთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს:

### საქართველოს მთავრობისადმი

სულ მცირე ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში მოხდეს იმ მექანიზმებისა და პროგრამების წარმოჩენა, რომლებიც გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე ხარისხიანი განათლების მიღების მიზნით ახორციელებს და/ან უნდა განახორციელოს საქართველოს სახელმწიფომ.

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი

<sup>103</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი სიახლეები, თბილისი, 2015.

შეიმუშაოს ფინანსური დახმარების ოდენობის განსაზღვრის სპეციალური ფორმულა რომლითაც, ერთი მხრივ, ყველასთვის იქნება უზრუნველყოფილი საბაზისო ფიქსირებული დახმარება არსებული ოდენობით, ხოლო მეორე მხრივ, საბაზისო თანხაზე დანამატის განსაზღვრისას შესაძლებლობისამებრ თანაბრად იქნება გათვალისწინებული, როგორც მასწავლებლის პროფესიული კვალიფიკაცია, ისე სამსახურებრივი სტაჟი.

გააგრძელოს და გააფართოოს „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამა, ისე რომ მან მეტი აბიტურიენტი და აბიტურიენტებთან ერთად, დაბალი კლასების მოსწავლეებიც მოიცვან. ქვეპროგრამის 6 თვიანი ციკლი განხორციელდეს წელიწადში ორჯერ.

„მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ პროგრამის ორივე კომპონენტი (სასკოლო სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა) გალის რაიონის 31-ვე სკოლაზე გავრცელდეს.

საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოს არა მხოლოდ თბილისში სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტები, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებში ჩარიცხული სტუდენტებიც;

მიმართოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რათა ამ უკანასკნელმა შეიმუშაოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსწავლეთა სასტიპენდიო პროგრამა, განსაკუთრებული პრიორიტეტით მათზე ვინც პედაგოგიურ განათლებას ეუფლება (იმ დათქმით, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები გარკვეულ დროს გალში დაყოფენ).

განიხილოს სპეციალური პროგრამის შექმნის შესაძლებლობა, რომლის ფარგლებშიც გალის რაიონში მცხოვრები მოსწავლეები დამამთავრებელი კლასის გავლას (XII) საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სკოლებში შეძლებენ და იქვე იცხოვრებენ;

უზრუნველყოს გალელი მოსწავლეებისა და სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა ზოგადი და უმაღლესი განათლების ყველა სხვა პროგრამაში;

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით შეიმუშაოს გალის რაიონის ტერიტორიაზე პედაგოგთა ახალი კადრების მომზადების სტრატეგია.

### **აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო (დევნილობაში)**

საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, შეიმუშაოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ განათლების პოლიტიკის ერთობლივი სამოქმედო გეგმა;

შეიმუშაოს და განახორციელოს გალის რაიონის პედაგოგთა წახალისების და დაჯილდოების მექანიზმები;

გააგრძელოს „გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ ქვეპროგრამა და მოიძიოს სახსრები, რათა საბავშვო ბაღის აღმზრდელებსა და

ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე გასაცემი თანხის ოდენობა გაუთანაბრდეს საქართველოს სხვა ბალებში არსებულ სტანდარტს;

მომეზნოს გალის რაიონში მოქმედი საბავშვო ბალების ქართულ ენაზე გამოცემული საბავშვო ლიტერატურით და ქართულ ენაზე გახმოვანებული საბავშვო ფილმებით მომარაგების გზები და სახსრები;

გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გაუზარდოს საბიუჯეტო დაფინანსება, რათა ამ უკანასკნელმა თავად და რეგულარულად შეძლოს ტრენინგების, სემინარებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარება მასწავლებლების და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით.

სასურველია წარჩინებული სტუდენტებისთვის დაარსდეს სასტიპენდიო პროგრამა, განსაკუთრებული პრიორიტეტით მათზე ვინც პედაგოგიურ განათლებას ეუფლება (იმ დათქმით, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები გარკვეულ დროს გალში დაყოფენ).

### **საქართველო საგარეო საქმეთა სამინისტრო და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი**

გააგრძელონ კონსულტაციები ევროკავშირთან, სამხრეთ კავკასიაში მის სპეციალურ წარმომადგენელთან და ჟენევის მოლაპარაკებების სხვა თანათავმჯდომარეებთან აფხაზურ და რუსულ მხარეებზე ზეწოლის მიზნით;

გააგრძელონ საკითხის დაყენება ყველა შესაძლო საერთაშორისო ტრიბუნაზე (გაეროს გენერალური ასამბლეა და კომიტეტები, ევროპის საბჭო, ეუთო და ა. შ.);

საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნით მიმართოს ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლეს კომისარს, რათა უშუალოდ გალის რაიონის ტერიტორიაზე განხორციელდეს ვითარების შესწავლა და შეფასება (უმაღლესი კომისრის ვიზიტის ან ცალკე ანგარიშის მეშვეობით, ისე როგორც მოლდოვის შემთხვევაში - *The Moldovan-Administered Latin-Script Schools in Transnistria; Background, Current Situation, Analysis and Recommendations*);

საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნით მიმართოს გაეროს შესაბამის ინსტიტუტებს, რათა უშუალოდ გალის რაიონის ტერიტორიაზე განხორციელდეს ვითარების შესწავლა და შეფასება;

საგარეო საქმეთა სამინისტრომ ძალისხმევა არ დაიშუროს, რათა აფხაზეთში არსებული ვითარება ევროპის პარლამენტის რეზოლუციებში აისახოს (სასურველია ცალკე დოკუმენტად, ისე როგორც მოლდოვის შემთხვევაში - *Right to education in the Transnistrian region*);

საგარეო საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდომარეობის შესახებ ანგარიშებში გალის რაიონში მშობლიური ენის აკრძალვის საკითხის სათანადო ასახვა;

საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვნით მიმართოს საერთაშორისო უფლებების დამცველ ორგანიზაციებს (Human Rights Watch; International Crisis Group და ა. შ.), რათა უშუალოდ გალის რაიონის ტერიტორიაზე განხორციელდეს ვითარების შესწავლა და შეფასება;

განიხილოს პრობლემის სამართლებრივი გადაწყვეტის გზები.

### **საქართველოს პარლამენტი**

თხოვნით მიმართოს საერთაშორისო უფლებების დამცველ ორგანიზაციებს (Human Rights Watch; International Crisis Group და ა. შ.), რათა უშუალოდ გალის რაიონის ტერიტორიაზე განხორციელდეს ვითარების შესწავლა და შეფასება;

განცხადების ან რეზოლუციის სახით გამოეხმაუროს გალის რაიონში მშობლიური ენის შეზღუდვის საკითხს;

გალის რაიონში მშობლიური ენის შეზღუდვის საკითხს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის სხდომა დაეთმოს.

### **საქართველოს სახალხო დამცველი**

გააგრძელოს ყოველწლიურ ანგარიშებში კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის აღწერა და განიხილოს სპეციალური ანგარიშის რეგულარულად გამოქვეყნების შესაძლებლობა;

თხოვნით მიმართოს საერთაშორისო უფლებების დამცველ ორგანიზაციებს (Human Rights Watch; International Crisis Group; Amnesty International და ა. შ.), რათა უშუალოდ გალის რაიონის ტერიტორიაზე განხორციელდეს ვითარების შესწავლა და შეფასება;

შესაძლებლობისამებრ მხარი დაუჭიროს პრობლემის სამართლებრივი გზებით გადაწყვეტის ინიციატივებს.